ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
BOLNISI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ106. 106232075**
თარიღი:**26/07/2023**

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერირტორიაზე მხცოვრები მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის N08-1062320554 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვალენტინა ნავერიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) იროდი უგრეხელიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ციცინო ჯოხაძე - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) ლელა კვირკაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) სალომე წიქორიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) დიანა აროიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ნონა მოდებაძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) სოფიო ჯაჯანიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი)ნანა არველაძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყფილების წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

კ) სოლომონ ჩარკვიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლ)მალხაზ ვეშაპიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი;

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები;

2)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;

3)ღარიბი ბავშვიანი ოჯახები;

4)მარტოხელა მშობლები;

5) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები.

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, სამუშო ჯგუფის შემადგენლობაში დამატებით წევრად და სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი ან კონსულტანტი;

4. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი #1-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დანართი #2-ის შესაბამისად აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტები მოწოდებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნუკლი ასოციაციის მიერ და გათვალისწინრბულია ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმაღთველობათა და საქართველოს ეროვნულ ასოციაციას შორის 2023 წერლს გაფორმებული მემორანდუმით;

6. დამტკიცდეს საჭიროებათა კვლევის ინსტრუქცია დანართი #3-ის შესაბამისად;

7. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 10 სექტემბერი;

8. საჭიროებათა კვლევის პროცესში პერონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №113;

11. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დავით შერაზადიშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი